

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტის“ (შემდგომში - „კომპანია“) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2015 წლის 11 მაისს:

ირაკლი კირტავა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ვანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგებისა და ზარალის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, აგრეთვე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და მოცემული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული სააღრიცხვო შეფასების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს, აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს გარკვეული პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების მიზნით აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან დაკავშირებული შიდა კონტროლი, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ბასს 27-ის თანახმად განსაზღვრულია, როგორც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოებანი

ჩვენი დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის საინვესტიციო ქონება 949,531 ლარის ოდენობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2013 წლის 1 ოქტომბერს განსაზღვრული ღირებულებით. საინვესტიციო ქონება იჯარით არის გაცემული მშობელი კომპანიის ჯგუფში შემავალ აფილირებულ კომპანიაზე. ხელმძღვანელობის რწმენით, აღნიშნული საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება დაახლოებით ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას და მათ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჩაუტარებიათ აღნიშნული აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე.

ჩვენი დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის ინვესტიციები იმ შვილობილ კომპანიებში, რომელთა კონსოლიდაციაც არ მომხდარა, აღრიცხულია თვითღირებულებაზე ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და იგი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 870,899 ლარს. ინვესტირების აღნიშნული ობიექტები კვლავაც განვითარების ეტაპზე არიან და ჯერ არ აქვთ შემოსავლები.

არესემ კაპტო

11 მაისი 2015

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2014	2013
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავალი	3	1,582,121	680,748
საკომისიო ხარჯი		(605,841)	(248,904)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		976,280	431,844
საპროცენტო შემოსავალი	4	545,602	643,042
საპროცენტო ხარჯი		(51,360)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		494,242	643,042
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	3,454,687	409,017
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	6	291,423	86,624
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება		104,940	14,357
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(149,683)	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,434,487)	(406,709)
სხვა ხარჯები		(36,695)	(97,589)
მოგება დაბეგვრამდე		3,700,707	1,080,586
მოგების გადასახადი	8	(651,981)	(85,723)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	8	64,105	(800,501)
წლის მოგება		3,112,831	194,362

სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		3,112,831	194,362

შემოსავალი ერთ აქციაზე

საბაზისო და გაზაფხული	9	0.59	0.04
------------------------------	---	-------------	-------------

ირაკლი კირტავა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ვანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013	1 იანვარი 2013
შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	10	92,181	13,224	44,169
საინვესტიციო ქონება	11	949,531	949,531	843,906
არამატერიალური აქტივები, წმინდა		9,722	7,871	9,992
ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ	12	11,045,876	10,523,176	10,174,977
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	13	157,970	157,970	157,970
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	14	372,562	216,606	215,516
გაცემული სესხები	15	1,899,375	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	102,857	18,692	900,478
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,630,074	11,887,070	12,347,008
მიმდინარე აქტივები				
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	17	3,158,616	2,058,857	971,177
დებიტორული დავალიანება	18	460,468	633,387	998,863
ფული და ფულის ექვივალენტები	19	5,310,721	4,553,722	9,361,940
სულ მიმდინარე აქტივები		8,929,805	7,245,966	11,331,980
სულ აქტივები		23,559,879	19,133,036	23,678,988

კაპიტალი და ვალდებულებები

კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	20	5,323,100	5,148,275	5,148,275
საემისიო კაპიტალი	20	7,132,403	6,609,063	9,547,194
გაუნაწილებელი მოგება	21	5,884,240	2,771,409	2,577,047
სულ კაპიტალი		18,339,743	14,528,747	17,272,516
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	16	67,778	47,719	129,003
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		67,778	47,719	129,003
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	22	4,542,835	4,376,120	6,186,151
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	609,523	180,450	91,318
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,152,358	4,556,570	6,277,469
სულ ვალდებულებები		5,220,136	4,604,289	6,406,472
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,559,879	19,133,036	23,678,988

ირაკლი კირტავა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ვანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს „გალტ ენდ თაგარტი“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	სააქციო	საემისიო	გაუნაწილებელი	სულ
		კაპიტალი	კაპიტალი	მოგება	კაპიტალი
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		5,148,275	9,547,194	2,577,047	17,272,516
სულ წლის სრული შემოსავალი				194,362	194,362
შემცირება	20		(2,938,131)		(2,938,131)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		5,148,275	6,609,063	2,771,409	14,528,747
სულ წლის სრული შემოსავალი				3,112,831	3,112,831
აქციების გამოშვება	20	174,825	325,175		500,000
გაზრდა			198,165		198,165
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		5,323,100	7,132,403	5,884,240	18,339,743

ირაკლი კირტავა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ვანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2014	2013
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		3,700,707	1,080,586
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		13,490	12,119
ფინანსური აქტივების გაუფასურება		149,683	-
მოგება საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	5	-	(105,625)
არარეალიზებული მოგება ფასიანი ქაღალდებით	6	(207,206)	(129,139)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		(104,940)	(14,357)
საპროცენტო შემოსავალი	4	(545,602)	(643,042)
საპროცენტო ხარჯი		51,360	-
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭროდ არსებული ფასიანი ქაღალდების ზრდა		(1,099,758)	(1,087,680)
დებიტორული დავალიანების შემცირება		172,919	365,476
კრედიტორული დავალიანების ზრდა (შემცირება)		166,716	(1,810,031)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		2,297,369	(2,331,693)
გადახდილი პროცენტი		(51,360)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(222,909)	-
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		2,023,100	(2,331,693)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა		(828,339)	(349,289)
ძირითადი საშუალებების ყიდვა	10	(91,256)	(2,587)
არამატერიალური აქტივების ყიდვა		(3,044)	(1,309)
გაცემული სესხები	15	(1,899,375)	-
მიღებული პროცენტი		629,928	635,964
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(2,192,086)	282,779
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	20	500,000	-
კაპიტალის გაზრდა მშობელი კომპანიის მიერ		198,165	(2,938,131)
საბანკო სესხებიდან მიღებული შემოსავალი		709,480	-
საბანკო სესხების დაფარვა		(709,480)	-
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		698,165	(2,938,131)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით		4,553,722	9,361,940
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		529,179	(4,987,045)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის		227,820	178,827
31 დეკემბრის მდგომარეობით	19	5,310,721	4,553,722

ირაკლი კირტავა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ვანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	გვერდი	
1	ზოგადი ინფორმაცია	6
2	ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3	საკომისიო შემოსავალი	22
4	საპროცენტო შემოსავალი	22
5	სხვა საოპერაციო შემოსავალი	23
6	წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	23
7	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23
8	მოგების გადასახადის ხარჯი	24
9	შემოსავალი ერთ აქციაზე	24
10	ძირითადი საშუალებები	25
11	საინვესტიციო ქონება	26
12	ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	26
13	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	26
14	გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	26
15	გაცემული სესხები	27
16	გადავადებული მოგების გადასახადი	27
17	სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	28
18	დებიტორული დავალიანება	28
19	ფული და ფულის ექვივალენტები	28
20	საკუთარი კაპიტალი	29
21	კაპიტალის გადახედვა	29
22	კრედიტორული დავალიანება	30
23	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
24	პირობითი ვალდებულებები	32
25	ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	33
26	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36
27	მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები	37

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 211359206 იურიდიულ პირად რეგისტრირებულია საქართველოში, 1995 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: დავით აღმაშენებლის გამზირი №79, თბილისი, საქართველო. წარსულში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგარტ სექიურითის“ – 2000-2009 წლებში და „ბიჯი კაპიტალის“ დასახელებით – 2009-2014 წლებში, კომპანიის სახელი 2014 წლის 26 აგვისტოდან არის სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“. კომპანია 2005 წლიდან წარმოადგენს „საქართველოს ბანკის“ სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას.

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას (საინვესტიციო ბანკს), რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციოდა აქტივების მართვის მომსახურებებს. ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმის და გაყოფის ტრანზაქციებში.

კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მაკროეკონომიკური სექტორების და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია აღნიშნული ლიცენზირებული საქმიანობით დაკავებულია 2000 წლიდან. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე.

კომპანია ფლობს ფილიალს აზერბაიჯანში.

2 ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(A) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და ამ თარიღამდე რეგისტრირებული ყველა პერიოდისთვის, კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებდა საქართველოში მიღებულ ადგილობრივ სააღრიცხვო პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც ეფუძნება ფასს-ებს მაგრამ არ მოიცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან სააღრიცხვო საკითხებს და მათი გამჟღავნების მოთხოვნებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, წარმოადგენს პირველ სრულყოფილ ანგარიშგებას, რომელიც კომპანიამ მოამზადა ფასს-ის თანახმად.

შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება 2014 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ მოქმედ ფასს-ის სტანდარტებს. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება მომზადდა 2013 წლის 1 იანვარს, კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის დღეს. შენიშვნა 21 განმარტავს კომპანიის მიერ შეტანილ იმ ძირითად შესწორებებს, რომელიც განხორციელდა 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქართული ბასს შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადახედვისას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგების და ზარალის საგნებს წარმოადგენს დანახარჯთა ფუნქციის სახით კლასიფიკაციის გამოყენებით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი დამყარებულია მიმდინარე / გრძელვადიან განსხვავებებზე.

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ მოემზადებინათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ დებულებების თანახმად, რადგანაც კომპანია ამისთვის აკმაყოფილებს ყველა საჭირო პირობას:

- იგი წარმოადგენს მშობელი კომპანიის სრულ მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, სადაც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.
- მისი სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ღია ბაზარზე.
- კომპანიას ფასიანი ქაღალდების კომისიისთვის არ წარუდგენია და არც ირიცხება საკუთარი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის პროცესში, ღია ბაზარზე ინსტრუმენტთა ნებისმიერი კლასის გამოშვების მიზნებისთვის.

შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში და არ აღრიცხავს ასოცირებულ კომპანიებს წილობრივი მეთოდით.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოპციონის ფასის გამოთვლის მოდელებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზარებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2014 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

- ცვლილებები ბასს 32-ში “ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა“ (გამოიცა 2011 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაშია რეტროსპექტულად, არ ცვლიან ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოქმედ ურთიერთგაქვეითვის მოდელს, მაგრამ განმარტავენ, თუ რას ნიშნავს

„ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება“ და რომ ზოგიერთი ბრუტო ანგარიშსწორების სისტემა შესაძლოა ჩაითვალოს ნეტო ანგარიშსწორების ექვივალენტად. ვინაიდან, კომპანიას არ აქვს გაფორმებული ურთიერთგადაფარვითი ანგარიშსწორების შეთანხმებები, ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 36-ში „ანაზღაურებადი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები არაფინანსური აქტივებისათვის (გამოიცა 2013 წლის მაისში) - ცვლილებები ზღუდავს გარემოებებს, რომლებშიც საჭიროა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულების შესახებ განმარტებითი ინფორმაციის ასახვა, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა განმარტებითი შენიშვნებია საჭიროდა აწესებს აშკარა მოთხოვნას იმ დისკონტირების განაკვეთის ჩვენების თაობაზე, რომელიც იღებს მონაწილეობას გაუფასურების (ან რევერსირების) დადგენაში, როდესაც ანაზღაურებადი ღირებულება, როგორც სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები, განისაზღვრა მიმდინარე ღირებულების მეთოდით. ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ბასს 39-ში „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა“ (გამოიცა 2013 წლის ივნისში) - ცვლილებები უშვებს ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობას იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირებისათვის გამიზნულიწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელ კონტრაგენტს კანონების ან რეგულაციების მოქმედების შედეგად ენაცვლება ახალი ცენტრალური კონტრაგენტი (რასაც ეწოდება „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემა“), თუ დაკმაყოფილება გარკვეული პირობები. ასეთი ტრანზაქციების არ არსებობის შემთხვევაში, ცვლილებას არ აქვს გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 2-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება აზუსტებს „ვესტირების პირობის“ და „ბაზრის მდგომარეობის“ განმარტებებს და ამატებს „საოპერაციო პირობების“ და „მომსახურების პირობის“ განმარტებებს. ცვლილება მოქმედებს პროსპექტულად, წილობრივი გადახდით განხორციელებულ ტრანზაქციებზე, რომელთა გაცემის თარიღი დადგა 2014 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ და აღნიშნულს არ ჰქონია გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 3-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება მოქმედებს პროსპექტულად, საწარმოთა გაერთიანებებზე, რომელთა შეძენის თარიღი დადგა 2014 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ და მოითხოვს, რომ ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება (ანუ არა კაპიტალი), შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის, სადაც სამართლიან ღირებულებაში ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. აღნიშნულს არ ჰქონია გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 10-ში, ფასს 12-ში და ბასს 27-ში “საინვესტიციო კომპანიები“ (გამოიცა 2012 წლის ოქტომბერში) - ცვლილებები განმარტავენ „საინვესტიციო კომპანიებს“ და უშვებენ გამონაკლისს შვილობილი კომპანიების კონსოლიდაციის მოთხოვნებისგან (გარდა კომპანიებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას საინვესტიციო კომპანიის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით); სანაცვლოდ, საინვესტიციო კომპანიას მოეთხოვება აღრიცხოს ინვესტიცია თითოეულ შვილობილ კომპანიაში მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით, ფასს 9 / ბასს 39-ის თანახმად, და აღრიცხოს მისი ინვესტიცია ამავე მეთოდით კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში; მოცემულია დამატებითი განმარტებები. ცვლილებები რეტროსპექტულად მოქმედებს გარდამავალი დებულებებით. ცვლილებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 13-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - დასკვნებისთვის სტანდარტის საფუძვლის ეს ცვლილება მხოლოდ განმარტავს, რომ გარკვეული მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შეფასების შესაძლებლობა შენარჩუნებულია არადისკონტირებული მეთოდებით.
- ფასს 21 გადასახდელები (გამოიცა 2013 წლის მაისში) - ინტერპრეტაცია უზრუნველყოფს ინსტრუქციებს, თუ როდის უნდა მოხდეს ვალდებულების აღიარება სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოსაკრებლებისთვის. ვალდებულების აღიარებას ავალდებულებს ის საქმიანობა, რომელიც იწვევს მოსაკრებლის გადახდას შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. იგი ასევე უზრუნველყოფს ინსტრუქციას მოსაკრებლების გადახდის ვალდებულების აღიარების თაობაზე: ვალდებულების აღიარება ხდება პროგრესულად, თუ მავალდებულებელ მოვლენას ადგილი

აქვს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან როდესაც მიიღწევა მინიმალური ზღვარი, თუ ვალდებულება წარმოიშვა აღნიშნული მინიმალური ზღვრის მიღწევის შედეგად. ფაისკ 21-ს არ ჰქონია გავლენა კომპანიაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2014 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

დირექტორების მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

- ცვლილება ბასს 16 და ბასს 38-ში „ცვეთის და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ცვლილებები დამატებით გვაწვდიან ინსტრუქციას და განმარტავენ, რომ (ა) აქტივის ცვეთის გამოსათვლელად შემოსავლების მეთოდების გამოყენება არ არის სათანადო რადგანაც, ისეთი საქმიანობით გენერირებული შემოსავალი, რომელიც გულისხმობს აქტივის გამოყენებას, ზოგადად ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, გარდა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა, და (ბ) შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია, როგორც შეუფერებელი ზაზა, არამატერიალურ აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენების შესაფასებლად; თუმცა, გარკვეულ შეზღუდულ გარემოებებში შესაძლებელია ამ პრეზუმციის უარყოფა. აღნიშნული ცვლილებები პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული და მომდევნო წლებისთვის. დირექტორების მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ბასს 16 და ბასს 38-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, განმარტავს როგორ ითვლება მთლიანი საბალანსო ღირებულება და დარიცხული ცვეთა / ამორტიზაცია, როდესაც სუბიექტი მიმართავს გადაფასების მოდელს. დირექტორების მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგანაც კომპანია არ იყენებს გადაფასების მოდელს.
- ცვლილებები ბასს 16 და ბასს 41-ში „სოფლის მეურნეობა: მსხმოიარე მცენარეები“ (გამოიცა 2014 წლის ივნისში) - ცვლილებები მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე და განმარტავენ მსხმოიარე მცენარეებს - ანუ ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ პროდუქციის შესაქმნელად რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და ნაყოფიერების ვადის ამოწურვის შემდეგ ჩვეულებრივ ნადგურდება (მაგ: ვაზი, კაუჩუკის ხე, ზეთის პალმა) - და განიხილავენ მათ ბასს 16-ის ფარგლებში, ხოლო მსხმოიარე მცენარეებიდან მიღებულ პროდუქციას ბასს 41-ის ფარგლებში. ვინაიდან კომპანია არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, დირექტორების მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ბასს 19-ში „დადგენილი გადასახდელიანი საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები: მომუშავეთა შენატანები (გამოიცა 2013 წლის ნოემბერში) - ცვლილებები, რომლებიც რეტროსპექტულად მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, განმარტავენ მოთხოვნებს, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს მომსახურებასთან დაკავშირებით თანამშრომელთა ან მესამე მხარეთა შენატანების დაკავშირება მომსახურების პერიოდებთან. კერძოდ, შენატანების აღიარება, რომლებიც არ არის დამოკიდებული მომსახურების ხანგრძლივობაზე (წლები), შესაძლებელია აღიარდეს, როგორც მომსახურების დანახარჯის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება (მომსახურების პერიოდებზე მათი მიკუთვნების ნაცვლად). ვინაიდან კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლის გეგმები, რის მიხედვითაც მომუშავეებმა ან მესამე მხარეებმა უნდა აანაზღაურონ გეგმის ზოგიერთი დანახარჯი, ცვლილების გამოყენებას არ ექნება რაიმე სახის გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ბასს 19-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი კლასის კორპორატიული ობლიგაციები შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლისთვის დისკონტირების განაკვეთის გამოთვლისას დენომინირებული უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რაშიც განხორციელდება სარგებლის გადახდა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილება ბასს 24-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, ადგენს, თუ როგორ უნდა განიმარტოს ანგარიშსწორება ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის მთავარი რგოლის მომსახურებას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ბასს 27-ში „კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოიცა 2014 წლის აგვისტოში) - ცვლილებები, რომლებიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, აწესრიგებენ კაპიტალ-მეთოდის უფლებას, რაც სუბიექტს საშუალებას აძლევს შვილობილ, პარტნიორ და მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები აღრიცხოს კაპიტალ-მეთოდით, მათ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანია დაკავშირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებს ასახავს თვითღირებულებით, მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ცვლილება ბასს 40-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2011-2013 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 და ბასს 40 ერთმანეთს არ გამორიცხავენ: თუ ბასს 40 ეხმარება ფინანსური ანგარიშგების შემდგენელს საინვესტიციო ქონებასა და მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებას შორის განსხვავების დადგენაში, ფასს 3 გვეხმარება განვსაზღვროთ, წარმოადგენს თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა საწარმოთა გაერთიანებას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 3-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2011-2013 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც პროსპექტულად მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3-ის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების ერთობლივი შეთანხმებების ფარგლებში ნებისმიერი ერთობლივი შეთანხმების ფორმირების აღრიცხვა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 5-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს აწვდის სუბიექტს, რომელიც ახდენს გასაყიდად გამიზნული აქტივის (ან აქტივთა ჯგუფის) რეკლასიფიცირებას მესაკუთრეთათვის გადასაცემად გამიზნულ აქტივად, ან პირიქით, და იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აღრიცხვის შეწყვეტა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 7-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს გვაწვდის, რათა დაკონკრეტდეს გულისხმობს თუ არა მომსახურების ხელშეკრულება გადაცემული აქტივის უწყვეტ ჩართულობას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 8-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2010-2012 ციკლში, გამოიცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განმარტებას საოპერაციო სეგმენტების მიმართ აგრეგირებული კრიტერიუმების გამოყენების თაობაზე და განმარტავს, რომ აღრიცხული სეგმენტების აქტივების ორგანიზაციის აქტივებთან შეჯერება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივები რეგულარულად აღრიცხება.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებას ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიანი პერიოდებისთვის. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისთვის.
 - ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის მეშვეობით ან სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

- ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელი, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.
- აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ღირექტორების მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

- ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია“ (გამოცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, რომლებიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ კონფლიქტს და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ შეადგენენ ბიზნესს. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს 11-ში „ერთობლივ ოპერაციებში წილის შექმნის აღრიცხვა“ (გამოცა 2014 წლის მაისში) - ცვლილებები, რომლებიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, მოითხოვენ, რომ ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესს (როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 3-ში), წილის შემქმნმა პირმა გამოიყენოს საწარმოთა გაერთიანების ყველა სააღრიცხვო პრინციპი და განმარტება ფასს 3 და სხვა ფასს სტანდარტების თანახმად, გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფასს 11-ის მიერ მოწოდებულ ინსტრუქციას. ცვლილებები უნდა აისახოს როგორც ერთობლივ ოპერაციაში წილის თავდაპირველ შექმნაზე, ასევე ერთობლივ ოპერაციაში დამატებითი წილის შექმნაზეც (ამ უკანასკნელის დროს, არ შეფასდება ამ მომენტამდე ხელთ არსებული წილები). აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ფასს 13-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2011-2013 ციკლში, გამოცა 2013 წლის დეკემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიან პერიოდებზე, ადგენს, რომ პორტფელის გამონაკლისი ფასს 13-ში, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტს განსაზღვროს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წმინდა საფუძველზე, გამოიყენება ყველა კონტრაქტში (მათ შორის არაფინანსური) ბასს 39 / ფასს 9-ის ფარგლებში. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო ერთწლიანი პერიოდებისთვის, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფასს 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა

ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალეზადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქნება კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

(B) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საეჭვო ხდება სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების დროული დაფარვა, ისინი ექვემდებარებიან ჩამოფასებას მოსალოდნელი ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულებამდე, შესაბამისად აღიარდება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ღირებულების დისკონტირების გაუქმების შედეგად, რომელიც ეფუძნება გაუფასურების ზარალის შესაფასებლად გამოყენებულ აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღრიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

(C) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღრიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვეითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენიშვნები	2% წრფივი
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	25% წრფივი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	25% წრფივი
მიწაზე ცვეთა არ ხდება ცვეთის აღიარება	

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმომოხილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებით წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი სამართლიანი ღირებულებით იჯარის ამოქმედებისთანავე, ან სამომავლო მინიმალური იჯარის გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, თუ ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებია.

საწყისი აღიარების შემდგომ გამოიყენება ცვეთის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამორტიზირებად აქტივებზე მოქმედ პოლიტიკას. შედეგად, ცვეთა გამოითვლება ძირითადი საშუალებებისთვის დადგენილი სასარგებლო მომსახურეობის ვადის თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმუნება, რომ მოიჯარე მიიღებს მესაკუთრეობას საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, მოხდება აქტივის სრული ცვეთა საიჯარო ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურეობის ვადას შორის უმცირესზე დაყრდნობით.

საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ელემენტი აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი საიჯარო პერიოდის განმავლობაში, მუდმივი განაკვეთით, გადაუხდელი ფინანსური საიჯარო ვალდებულებების ნაშთზე.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ ლიზინგის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

(D) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ხარჯს იმ დროისთვის, როდესაც გაწეულ იქნა ეს ხარჯი, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები; და მასში არ შედის საინვესტიციო ქონების ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა აღნიშნული მოგება თუ ზარალი.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საინვესტიციო ქონების ანგარიშზე ან ანგარიშიდან ქონების გადატანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სარგებლობის ცვლილებას. საინვესტიციო ქონების მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად გადატანის შემთხვევაში, ქონება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, კომპანია ასეთ ქონებას აღირიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

(E) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ზაქს და

უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები

როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოადგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გაგვსვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ ტექნოლოგიებთან და პროცესებთან.

კვლევის ხარჯები აღიარდება ხარჯებად მათი გაწევისთანავე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შექმნილი არამატერიალური აქტივების საღირცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ათწლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

(F) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება გადამოწმდება თითოეული საანგარიშო პერიოდის თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, მის ჩამოსაწერად ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ინდივიდუალური აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის რეალიზაციის ხარჯის შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიზნულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დაბეგრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის გაუფასურების ზარალი თავდაპირველად გამოიქვითება ერთეულის გუდვილიდან და შემდეგ ერთეულის სხვა აქტივებიდან, პროპორციულად. ანაზღაურებად ღირებულებაში შემდგომი ზრდა, რომელიც გამოწვეულია გამოთვლებში ცვლილებებით აისახება მოგება-ზარალში იმდენად, რამდენადაც ისინი ახდენენ გაუფასურების აღდგენას.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

(G) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“. მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL) აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო აქტივები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ეფექტური ჰეჯირებისათვის) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

FVTPL ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.

სესხები და მოთხოვნები სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ კატეგორიაში შეუძლებელია ისეთი აქტივების კლასიფიცირება, რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ეს აქტივები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება დებიტორული დავალიანება, საბანკო ნაშთები და ფულადი სახსრები.

დაფარვის ვადამდე გლობალი ფინანსური აქტივები აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზარაზხვა და უნარი კომპანიას ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით და ასახავს მოგება-ზარალში და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქნილი ზარალი.

გასაყიდად არსებული (AFS) ფინანსური აქტივები ეს არაწარმოებული ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებით მიეკუთვნება არსებულ ხელმისაწვდომ აქტივებს ან არ არის კლასიფიცირებული ზემოთ მითითებულ არც ერთ კატეგორიაში. ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, არაკოტირებული საფონდო ინსტრუმენტები აღირიცხება თვითღირებულებით, როდესაც შეუძლებელია მათი სამართლიანი ღირებულების ზუსტად შეფასება.

კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგების და ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და დივიდენდების გარდა, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში, ცვლილებები AFS ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვში, სანამ არ მოხდება ინვესტიციის გასხვისება ან გაუფასურებულად განსაზღვრა. ამ დროისთვის, გადაფასების რეზერვში უკვე დაგროვებული კუმულაციური მოგება/ზარალი რეკლასიფიცირდა მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს (გარდა FVTPL), გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთ ან მეტ გარემოება რომელსაც გავლენა ექონდებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილი სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

AFS საფონდო ინსტრუმენტებისთვის, გაუფასურების ობიექტურ სამხილად ასევე ითვლება ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა ფასის დონის ქვემოთ.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელის მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მხოლოდ დებიტორული დავალიანებისთვის, საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტირდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

AFS სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ზრდა ობიექტურად ამყარებს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, გაუფასურების ზარალი შემდგომ რევერსირდება მოგების ან ზარალის მეშვეობით. AFS წილობრივ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კი, გაუფასურების ზარალის დადგომის შემდეგ სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება გადაფასების რეზერვში; გაუფასურების ზარალი არ რევერსირდება მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „ეკონომიკური შემადგენლობა სამართლებრივ ღირებულებაზე მაღლა“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, კომპანია არ განასხვავებდა „სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს“ და „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსურ ვალდებულებებს მოგება-ზარალში ასახვით“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, ვალდებულებები რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში არ ხდება მათი გადაფასება, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

პრივილეგირებული აქციები

აღნიშნული აქციები კლასიფიცირდება ვალდებულებებად, მათი ეკონომიკური შემადგენლობის, და არა სამართლებრივი ფორმის თანახმად. პრივილეგირებული აქციები წარმოადგენენ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც კლასიფიცირდება „სხვა ვალდებულებების“ კატეგორიაში და შესაბამისად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე აღირიცხება საპროცენტო ხარჯებში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება(დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ჰეჯირება

კომპანიის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციები ექვემდებარება სავალუტო და საპროცენტო რისკებს. ამ რისკებისგან დასაზღვევად, საბჭოს მიერ წერილობით დადგენილი სახაზინო პოლიტიკის თანახმად, კომპანია იყენებს წარმოებულ და სხვა ჰეჯირების ინსტრუმენტებს. ბასს 39-ის თანახმად, დაშვებულია ჰეჯირების 3 სახის ურთიერთობა:

- სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება
- ფულადი ნაკადების ჰეჯირება
- უცხოურ ქვეანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება

კომპანია ჰეჯირების აღრიცხვას იყენებს მხოლოდ მაშინ, თუ ჰეჯირების დასაწყისში დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- მკაფიოდ არის განსაზღვრული ჰეჯირების ინსტრუმენტი და ჰეჯირებული მუხლი;
- შესრულებულია ჰეჯირების ურთიერთობის ფორმალური აღნიშვნა და დოკუმენტირება. ჰეჯირების აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს ჰეჯირების სტრატეგიასა და მეთოდოლოგიას, ჰეჯირების ეფექტიანობის შესაფასებლად; და
- მოსალოდნელია ჰეჯირების ვადიანობის განმავლობაში ჰეჯირების ურთიერთობის მაღალი ეფექტიანობა.

ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია უნდა განახლდეს თითოეული ანგარიშგების თარიღის დღეს, რათა შეფასდეს ჰეჯირების მაღალი ეფექტურობის ალბათობა დარჩენილი ვადიანობის განმავლობაში.

სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება სამართლიანი ღირებულებით ასახული ჰეჯირების ინსტრუმენტის (წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტისთვის) ან მისი საბალანსო ღირებულების უცხოური ვალუტის კომპონენტის (არაწარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტისთვის) გადაფასებით მიღებული ნამეტი ან დეფიციტი აღიარდება მოგება-ზარალში. ნამეტი ან ზარალი დაზღვეულ რისკთან მიმხედულ ჰეჯირებულ მუხლზე ასევე აღიარდება მოგება-ზარალში. თუ ჰეჯირება დასრულდება, აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს ან გაუქმდება, ჰეჯირებული ფინანსური ინსტრუმენტის კორექტირებული საბალანსო ღირებულება, რომლისთვისაც გამოყენებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, ამორტიზირდება მოგება-ზარალში.

ფულადი ნაკადების ჰეჯირება ჰეჯირების ინსტრუმენტზე ნამეტის ან დეფიციტის ნაწილი, რომელიც განისაზღვრება ეფექტურ ჰეჯირებად, აღიარდება (დაბეგრის შემდეგ) სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება ჰეჯირების რეზერვში, ხოლო ჰეჯირების ინსტრუმენტზე ნამეტის ან დეფიციტის არაეფექტური ნაწილი აღიარდება მოგება-ზარალში. ჰეჯირებული მუხლისთვის კორექტირება არ ხორციელდება.

თუ პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება შედეგად გამოიწვევს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარებას, აღნიშნულთან დაკავშირებული ნამეტი ან დეფიციტები, რომლებიც აღიარდა კაპიტალში, რეკლასიფიცირებულ უნდა იქნას იმავე პერიოდის ან პერიოდების მოგება-ზარალში, რომლის დროსაც შეძენილმა აქტივმა ან აღებულმა ვალდებულებამ გავლენა იქონია მოგება ან ზარალზე.

თუ პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება შედეგად გამოიწვევს არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების აღიარებას, ან არაფინანსურ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული პროგნოზირებული გარიგება გახდება კომპანიის ვალდებულება, რომლისთვისაც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა, მაშინ კომპანია გამოქვითავს დაკავშირებულ ნამეტსა და დეფიციტს, რომელიც აკუმულირდა კაპიტალში და გადაიტანს მათ აქტივის ან ვალდებულების საწყის ღირებულებაში ან სხვა საბალანსო ღირებულებაში (საფუძველის კორექტირება).

უცხოურ ქვეანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება უცხოურ ქვეანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირების აღრიცხვა წარმოებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების მსგავსად. ჰეჯირების ინსტრუმენტზე ნამეტის ან დეფიციტის ეფექტური ნაწილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება სავალუტო გადაყვანის რეზერვში, ხოლო არაეფექტური ნაწილი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ჰეჯირების ინსტრუმენტზე ნამეტი ან დეფიციტი, რომელიც აკუმულირდა კაპიტალში რეკლასიფიცირებულ იქნება მოგება-ზარალში უცხოური ქვეანაყოფის გასხვისებისთანავე.

წარმოებული ინსტრუმენტები

ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება და შემდგომ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება მხოლოდ ჰეჯირების მიზნებისთვის. ჰეჯირების ურთიერთობაში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა აღწერილია ზემოთ მოცემულ სექციაში.

ზოგჯერ, კომპანია მიმართავს გარკვეულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ზოგიერთი ტრანზაქციის ჰეჯირებისთვის, მაგრამ ბასს 39-ით დადგენილი ჰეჯირების მკაცრი კრიტერიუმები დაკმაყოფილებული არ არის. ამ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ გარიგებას აქვს ეკონომიკური და კომერციული საფუძველი, დაუშვებელია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება. შედეგად, ცვლილება აღნიშნული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების

სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება ან ზარალში და ჰეჯირებული მუხლისთვის აღრიცხვა ექვემდებარება აღნიშნული მუხლისთვის კომპანიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას.

ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები

არაწარმოებული ინსტრუმენტების ძირითად შეთანხმებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განიხილება, როგორც ცალკეული წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ძირითადი შეთანხმების რისკებსა და მახასიათებლებთან და ძირითადი შეთანხმებები არ აღირიცხება FVTPL-ით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მხოლოდ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ოვერდრაფტს, რომელიც დაფარავს ექვემდებარება მოთხოვნის საფუძველზე. ვინაიდან ამგვარი საბანკო შეთანხმებების თანახმად, საბანკო ნაშთები ხშირად მერყეობს დადებითსა და უარყოფით ნაშთებს შორის, ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების განუყოფელ ნაწილად.

(H) შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად ხაზებს ან გეოგრაფიულ სეგმენტებს, რომლებიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. როდესაც ისინი გამიზნული იყო გამოყენებისთვის, შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს ან ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ოპერაციებს და ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც ცალსახად განსხვავდება სუბიექტის სხვა ნაწილებისგან, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. მათი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე არის ნაჩვენები და შედარებითი მონაცემები ხელახლა გამოისახება მათი უწყვეტიდან შეწყვეტილ ოპერაციებში რეკლასიფიცირებისთვის.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გასასხვისებელი ჯგუფები)

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივი (ან გასასხვისებელი ჯგუფი) წარმოადგენს აქტივს, რომლის საბალანსო ღირებულების ამოღება მოხდება გაყიდვის შედეგად, და არა მისი უწყვეტი გამოყენებით, ამისთვის გაყიდვის ალბათობა უნდა იყოს მაღალი და გრძელვადიანი აქტივის(ან გასასხვისებელი ჯგუფი) მიმდინარე მდგომარეობა დაუყონებლივ უნდა იყოს გასაყიდად ხელმისაწვდომი. გაყიდვის წარმოება ევალება ხელმძღვანელობის სათანადო რგოლს და გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივად (ან გასასხვისებელი ჯგუფის) კლასიფიცირებიდან ერთი წლის ვადაში უნდა იყოს დიდი ალბათობით მოსალოდნელი გაყიდვის შესრულება. გასასხვისებელი ჯგუფები და გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებასა (შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით) და საბალანსო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

აქტივზე ცვეთის ან ამორტიზაციის დარიცხვა წყდება მას შემდეგ რაც აქტივი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული ან შედის გასაყიდად გამიზნულ აქტივთა ჯგუფში.

(I) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია პირობები მათ მისაღებად და არსებობს სათანადო საფუძველი, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები თავდაპირველად აღირიცხება გადავადებულ შემოსავალში, ხოლო შემდეგ მოგება-ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. შემოსავალთან დაკავშირებული გრანტები დაიქვითება დაკავშირებული ხარჯის აღრიცხვის დროს.

სახელმწიფო გრანტები, რომლებიც მიიღება უკვე გაწეული ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით ან კომპანიისთვის ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით, და მათთან არ არის დაკავშირებული სამომავლო ხარჯები, აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდისთვის, როდესაც დადგება მათი მიღების თარიღი.

(J) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

(K) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1.8636	2.2656	2.8932
გაცვლითი კურსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1.7363	2.3891	2.8614
გაცვლითი კურსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1.6562	2.1845	2.6791
საშუალო გაცვლითი კურსი 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	1.7659	2.3462	2.9092
საშუალო გაცვლითი კურსი 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	1.6634	2.2094	2.6033

(L) საპენსიო შეღავათები

კომპანიას აქვს საპენსიო ფონდი ფიქსირებული შენატანებით ყველა თანამშრომლისთვის. საპენსიო ფონდში წლიური ფიქსირებული შენატანი ფიქსირდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში. ნებისმიერი კუმულაციური სხვაობა გადასახდელ და გადახდილ თანხებს შორის, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება, მაგრამ ამავე დროს აღნიშნული ფონდების აქტივები და ვალდებულებები არ წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ნაწილს, ვინაიდან დამქირავებელს აღნიშნული ფონდების წევრებთან არ აქვს რაიმე სახის რისკები და სარგებელი.

(M) წილობრივი გადახდები

კომპანიის წილობრივი გადახდები წარმოადგენს თამანშრომლებისთვის გაცემულ დაფარვად აქციის ოფციონს, რომლის გაცემის თარიღის დღეისთვის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ოფციონის შეფასების მოდელი. მათი სამართლიანი ღირებულება აისახება ხარჯის სახით, წრფივი მეთოდის გამოყენებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც თანამშრომელი გახდება ოფციონის უპირობო მფლობელი, კაპიტალში შესაბამისი ზრდით.

ასეთი ოფციონების რიცხვი ყოველწლიურად კორექტირდება, რათა იყოს გათვალისწინებული სავარაუდოდ გამოყენებადი ოფციონების რიცხვი (საბაზრო პირობების იგნორირებით), ხარჯებში შესაბამისი ცვლილებებით. კაპიტალი ასევე იზრდება მიღებული შემოსავლებით, როდესაც თანამშრომლები გამოიყენებენ საკუთარ ოფციონებს.

თუ კომპანია შეცვლის წესებსა და პირობებს, რომელთა მიხედვითაც გაიცა წილობრივი ინსტრუმენტები, მოგება-ზარალში აისახება მინიმუმ ის მომსახურება, რომელიც მიღებულ იქნა გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის თარიღის დღეს შეფასებული სამართლიანი ღირებულებით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარებიან ოფციონების გამოყენების უფლებას, საბაზრო პირობების გარდა ოფციონების გამოყენების პირობის შეუსრულებლობის მიზეზით).

წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის შეწყვეტა ოფციონების გამოყენების პერიოდის განმავლობაში (გარდა კონფისკაციის შემთხვევისა, რაც გამოწვეულია ოფციონების გამოყენების პირობების შეუსრულებლობით) აღირიცხება, როგორც ოფციონების გამოყენების დაჩქარება, შესაბამისად არ აღიარებული ნაშთი აღიარდება დაუყოვნებლივ, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(N) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, გარდა აქტივთა და ვალდებულებათა თავდაპირველი აღიარებისას წარმოქმნილი დროებითი სხვაობებისა, რომლებსაც არ აქვთ გავლენა დასაბეგრ ან სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (მეტი ალბათობა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრულ შემოსავალის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ყველა დროებით სხვაობასთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 16).

(O) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შესრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. გამოთვლებში ცვლილება აისახება გარკვეული პერიოდის მოგება-ზარალში, მათი დადგომის შესაბამისად. საგარანტიო ანარიცხები ფასდება ალბათობის მოდელის გამოყენებით, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. რესტრუქტურირების ანარიცხები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულ მხარეს წარედგინება ფორმალური გეგმა.

(P) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად, მათი დეკლარირების მომენტისთვის (ანუ არსებობს დივიდენდებზე სათანადო უფლებამოსილება და ისინი აღარ წარმოადგენენ სუბიექტის უფლებას). როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

სახაზინო აქციები

შესყიდული სახაზინო აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოქვითვით. სახაზინო აქციების გაყიდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რაიმე სახის მოგება ან ზარალი სახაზინო აქციებიდან.

კონვერტირებადი ობლიგაციები

კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვებისას, (გამოშვების ხარჯების გამოკლებით) ვალდებულებითი და წილობრივი კომპონენტი არის განცალკევებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ვალდებულებითი კომპონენტი გამოითვლება, მსგავსი არაკონვერტირებადი ობლიგაციების ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა საპროცენტო განაკვეთი ტოლია გაცემის დღეს მოქმედი საპროცენტო განაკვეთებისა) გამოშვებით მიღებული შემოსულობების დარჩენილი ოდენობა ჩაითვლება კონვერტაციის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ თანხად და კრედიტირდება კაპიტალის რეზერვების ანგარიშზე. ვალდებულებითი კომპონენტი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, სანამ მოხდება მისი დაფარვა კონვერტაციის გამოყენების დღეს ან ობლიგაციის განაღდების ვადის ამოწურვის მომენტისთვის. წილობრივი კომპონენტი აღიარების შემდეგ არ გადაფასდება.

3 საკომისიო შემოსავალი

	2014	2013
	ლარი	ლარი
საბროკერო საქმიანობიდან	1,411,691	509,139
სხვა საკომისიო შემოსავალი	170,430	171,609
სულ საკომისიო შემოსავალი	1,582,121	680,748

4 საპროცენტო შემოსავალი

	2014	2013
	ლარი	ლარი
კომერციული სესხები	212,360	1,120
საბანკო დეპოზიტები	198,876	484,656
პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები	128,076	153,129
სხვა	6,290	4,137
სულ საპროცენტო შემოსავალი	545,602	643,042

5 სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2014	2013
	ლარი	ლარი
საინვესტიციო-საბანკო საქმიანობა	3,414,443	271,777
მოგება საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	-	105,625
სხვა შემოსავალი	40,244	31,615
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,454,687	409,017

2014 წელს კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა ორ უცხოურ კლიენტთან, კომპანია „აგროქიმ ეს ეი“-ში მათი აქციების გაყიდვის თაობაზე. კომპანიამ მოახერხა ერთ-ერთ კლიენტის აქციების გაყიდვა და პროექტის წარმატებულად რეალიზაციისთვის მიიღო 3,343,599 ლარი. კომპანიამ ვერ გაყიდა მეორე კლიენტის აქციები და ხელშეკრულება შეწყდა.

6 წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან

	2014	2013
	ლარი	ლარი
არარეალიზებული მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	207,206	129,139
ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	84,217	(42,515)
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	291,423	86,624

7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2014	2013
	ლარი	ლარი
ხელფასები (გარდა წლიური ბონუსებისა)	588,163	218,072
წლიური ბონუსი	460,000	60,000
იჯარა და კომუნალური გადასახადები	182,147	67,945
კონსულტაცია და სხვა პროფესიული მომსახურება	87,247	21,653
წარმომადგენლობის ხარჯები	34,686	3,858
მივლინებები	20,944	-
გაყიდვები და მარკეტინგი	14,516	4,787
ცვეთა და ამორტიზაცია	13,490	12,119
გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	10,000	9,228
სხვა	23,294	9,047
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,434,487	406,709

ზემოთ აღნიშნული კონსულტაციის და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებას 17,445 ლარის ოდენობით, 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2013: 4,500 ლარი).

8 მოგების გადასახადის ხარჯი

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგების გადასახადის ხარჯის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

	2014	2013
	ლარი	ლარი
მიმდინარე მოგების გადასახადი	651,981	85,723
გადავადებული მოგების გადასახადი	(64,105)	800,501
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	587,876	886,224

საგადასახადო ხარჯისა და სააღრიცხვო მოგების გადასახადების ნომინალურ განაკვეთზე გადამრავლებით მიღებული ნამრავლის შეჯერებით, 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიიღება:

	2014	2013
	ლარი	ლარი
საგადასახადო ხარჯის შეჯერება		
წლის სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	3,700,707	1,080,586
კორპორაციის გადასახადის დანარიცხი 15% განაკვეთით	555,106	162,088
კორექტირება:		
საგადასახადო მიზნებისთვის გამოუქვითავი ხარჯები	52,786	769,448
შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას	(22,173)	(47,719)
სხვა პუნქტები	2,157	2,407
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	587,876	886,224
ეფექტური საგადასახადო განაკვეთი	15.9%	82.0%

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 609,523 ლარს. ეს ოდენობა მოცემულია საგადასახადო ავანსის დაქვითვის შემდეგ, რომელიც გადახდილი იქნა წლის დასრულებამდე. ეფექტური საგადასახადო განაკვეთი 2014 წლისთვის იყო 15.9% (2013: 82.0%). გამოთვლები შესაბამისობაშია გასულ წლებში გამოყენებულ კალკულაციებთან.

9 შემოსავალი ერთ აქციაზე

	2014	2013
	ლარი	ლარი
მრიცხველი: კაპიტალით მიღებული შემოსავალი		
წლის მოგება	3,112,831	194,362
შემოსავლები – საბაზისო და გაზავებული	3,112,831	194,362
მნიშვნელი: აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	აქციათა რაოდ.	აქციათა რაოდ.
საბაზისო და გაზავებული	5,293,962	5,148,275

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებულ აქციებზე .

10 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება					
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	91,380	37,049	32,357	15,260	176,046
შეძენა	2,317	270	-	-	2,587
გასვლა	-	-	(32,357)	-	(32,357)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	93,697	37,319	-	15,260	146,276
შეძენა	20,172	64,952	-	6,132	91,256
გასვლა	(74,099)	(26,479)	-	(15,260)	(115,838)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,770	75,792	-	6,132	121,694
ცვეთა და გაუფასურება					
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	81,179	33,138	5,393	12,167	131,877
ცვეთა წლის მანძილზე	3,368	2,156	2,121	1,044	8,689
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	(7,514)	-	(7,514)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,547	35,294	-	13,211	133,052
ცვეთა წლის მანძილზე	4,547	5,524	-	2,228	12,299
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	(74,099)	(26,479)	-	(15,260)	(115,838)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,995	14,339	-	179	29,513
წმინდა საბალანსო მნიშვნელობა					
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,201	3,911	26,964	3,093	44,169
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,150	2,025	-	2,049	13,224
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,775	61,453	-	5,953	92,181

11 საინვესტიციო ქონება

	2014	2013
	ლარი	ლარი
1 იანვრის მდგომარეობით	949,531	843,906
მოგება სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	105,625
31 დეკემბრის მდგომარეობით	949,531	949,531

საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი სერტიფიცირებული შემფასებლის, შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ 2013 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული შეფასების საფუძველზე. შეფასება ჩატარდა ბაზართან მიმართებაში. ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული თარიღის შემდეგ მათი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ შეცვლილა. მოგება სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებში (იხ. შენიშვნა 5).

12 ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედ (94% წილი კაპიტალში)	10,174,977	10,174,977	10,174,977
სვანეთი ჰიდრო (100% წილი კაპიტალში)	632,180	62,001	-
ჯეო ჰიდრო (85% წილი კაპიტალში)	238,719	286,198	-
სულ ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ	11,045,876	10,523,176	10,174,977

13 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
საქართველოს საფონდო ბირჟა (32% წილი კაპიტალში)	157,970	157,970	157,970
სულ ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	157,970	157,970	157,970

14 გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
წილობრივი ინსტრუმენტები:			
ლიბერთი კონსუმერ	281,622	131,233	130,250
თელიანი ველი	90,940	85,373	85,266
სულ გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	372,562	216,606	215,516

15 გაცემული სესხები

2014 წელს კომპანიამ 1,300,000 დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება (სუბორდინირებული სესხი) გააფორმა ქართულ სავაჭრო მაღაზიათა ქსელთან „ორი ნაბიჯი“ სესხი გაიცა ხუთი წლით და ერიცხება წლიური 20%. აღნიშნული სესხი არ არის უზრუნველყოფილი რაიმე სახის გირავნობით ან იპოთეკით, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა ჩართულია „ორი ნაბიჯის“ სტრატეგიული და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სესხის საბალანსო ღირებულება აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,899,375 ლარს.

16 გადავადებული მოგების გადასახადი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შემდეგი გადავადებული გადასახადის ნაშთები:

	31 დეკემბერი 2014 ლარი	31 დეკემბერი 2013 ლარი	1 იანვარი 2013 ლარი
გადავადებული საგადასახადო აქტივები	102,857	18,692	900,478
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(67,778)	(47,719)	(129,003)
წმინდა ბალანსი	35,079	(29,027)	771,475

ქვემოთ მოცემული ცხრილები, თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან მიმართებაში, ასახვენ გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

	აღიარებულია		სულ
	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	
გადავადებული საგადასახადო აქტივები			
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	900,478	900,478
საგადასახადო ზარალის გამოყენება	-	(882,198)	(882,198)
სხვა	-	412	412
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	18,692	18,692
დარიცხვები	-	62,448	62,448
ფინანსური აქტივების გაუფასურება	-	22,453	22,453
სხვა	-	(736)	(736)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	102,857	102,857

საგადასახადო ზარალი ჩათვლილია აქტივებად, რადგანაც შესაბამის საგადასახადო იურისდიქციაში მოსალოდნელია საკმარისი დასაბეგრი მოგება. შედეგად საგადასახადო ზარალი სრულად არის გამოყენებული გადავადებული საგადასახადო აქტივების დათვლისას.

	აღიარებულია		სულ
	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები			
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	129,003	129,003
საინვესტიციო ქონება	-	(110,742)	(110,742)
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	-	29,458	29,458
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	47,719	47,719
ძირითადი საშუალებები	-	8,162	8,162
საინვესტიციო ქონება	-	6,329	6,329
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	-	5,568	5,568
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	67,778	67,778

17 სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტები	3,117,415	1,981,836	919,024
წილობრივი ინსტრუმენტები	41,201	77,021	52,153
სულ სავაჭროდ ფლობილი ქაღალდები	3,158,616	2,058,857	971,177

ყველა სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით.

18 დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
კლიენტების და სხვა მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	415,257	510,244	779,817
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადები	22,716	19,750	118,534
დარიცხული პროცენტი და სხვა დებიტორული დავალიანება	22,495	103,393	100,512
სულ დებიტორული დავალიანება	460,468	633,387	998,863

დებიტორული დავალიანების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არსებითი სხვაობა არ არის.

19 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი საბანკო ანგარიშზე	1,101,801	149,915	804,827
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (კლიენტები)	3,548,837	2,767,310	5,351,347
მოკლევადიანი დეპოზიტები	512,916	1,636,497	3,195,766
მოკლევადიანი დეპოზიტები(კლიენტები)	147,167	-	10,000
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,310,721	4,553,722	9,361,940

მოკლევადიანი დეპოზიტები შედგება სხვადასხვა პერიოდის მქონე (ერთი დღიდან სამ თვემდე) დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი შესაბამისი მოკლევადიანი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

20 საკუთარი კაპიტალი

	31 დეკემბერი 2014 ლარი	31 დეკემბერი 2013 ლარი	1 იანვარი 2013 ლარი
საწესდებო:			
10,000,000 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის	10,000,000	10,000,000	10,000,000
გამოშვებული და სრულად გადახდილი:			
5,323,100 / 5,148,275 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის ოდენობით	5,323,100	5,148,275	5,148,275

2014 წლის 25 თებერვალს, გამოშვებულ და სრულად გადახდილ იქნა 174,825 ჩვეულებრივი აქციის, თითოეული 1 ლარის ოდენობით.

საემისიო კაპიტალი მოიცავს კომპანიის აქციონერების მიერ აქციათა ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით კაპიტალში შეტანილ თანხებს, რასაც უნდა გამოაკლდეს კომპანიის მიერ მისი აქციონერებისთვის განაწილებული თანხები.

21 კაპიტალის გადახედვა

კომპანიამ მოამზადა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება 2014 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ფასს-ის სტანდარტებს, როგორც ეს აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 2). აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის პირველი ანგარიშგება მომზადდა 2013 წლის 1 იანვარს, როდესაც კომპანია გადავიდა ფასს სტანდარტებზე. წინამდებარე შენიშვნა განმარტავს კომპანიის მიერ შეტანილ მთავარ შესწორებებს, როდესაც გადახედილ იქნა ადგილობრივი სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კაპიტალის შეჯერება 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფასს-ზე გადასვლის თარიღი)

	ადგილობრივი სააღრიცხვო პრინციპები ლარი	განმეორებითი გაანგარიშება ლარი	ფასს ლარი
დებიტორული დავალიანება	13,701,666	(12,702,803)	998,863
სხვა მიმდინარე აქტივები	10,333,117	-	10,333,117
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	262,205	(46,689)	215,516
გადავადებული საგადასახადო აქტივი	815,297	85,181	900,478
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11,231,014	-	11,231,014
სულ აქტივები	36,343,299	(12,664,311)	23,678,988
საემისიო კაპიტალი	14,695,469	-	14,695,469
რეზერვები	(4,289)	4,289	-
გაუნაწილებელი მოგება	5,979,472	(3,402,425)	2,577,047
სულ კაპიტალი	20,670,652	(3,398,136)	17,272,516
კრედიტორული დავალიანება	15,581,329	(9,395,178)	6,186,151
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	91,318	-	91,318
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	129,003	129,003
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	36,343,299	(12,664,311)	23,678,988

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალის შეჯერების შენიშვნები

დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბალანსები

ადგილობრივი სააღრიცხვო პრინციპების თანახმად, კომპანიამ არ განახორციელა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბალანსების ჩამოწერა წინა წლებში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან მიმართებაში. ფასს-ის თანახმად, მოხდა ამ ნაშთების ჩამოწერა წმინდა დებიტორული დავალიანების ნაშთით 3,307,625 ლარის ოდენობით, რომლებიც 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარიცხული იყო საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები და მათთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვები

ადგილობრივი სააღრიცხვო პრინციპების თანახმად, კომპანიამ აღიარა გასაყიდად არსებული გარკვეული წილობრივი ინსტრუმენტები და აღრიცხა ცვლილებები აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებაში სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით, რის შედეგადაც დაჯამდა კაპიტალში შემავალი გადაფასების რეზერვებში აღნიშნული სხვაობების ეფექტები. ფასს-ის თანახმად, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება 46,689 ლარის ოდენობით და მათთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვების ღირებულება 4,289 ლარის ოდენობით დაირიცხა საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გადავადებული საგადასახადო ნაშთები

კომპანიამ გადავადებული გადასახადები აღრიცხა ადგილობრივი სააღრიცხვო პრინციპების და ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის მოქმედი დებულებების თანახმად. ფასს-ის მიხედვით, ხელახლა მოხდა გადავადებული საგადასახადო ნაშთების გადათვლა ზასს 12-ის მოთხოვნის შესაბამისად. ამის შედეგად გადავადებულ საგადასახადო ნაშთებში მიღებული ცვლილება დაირიცხა საწყის გაუნაწილებელი მოგებაზე, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

22 კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2014 ლარი	31 დეკემბერი 2013 ლარი	1 იანვარი 2013 ლარი
კლიენტებისთვის და სხვა მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	4,041,464	4,297,821	5,926,851
დარიცხული ვალდებულებები	477,445	65,864	234,989
სხვა დავალიანება	23,926	12,435	24,311
სულ კრედიტორული დავალიანება	4,542,835	4,376,120	6,186,151

დარიცხულ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან, რომლებიც გაწეულ იქნა, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

23 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას აკონტროლებს „საქართველოს ბანკი“, რომელიც ფლობს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. „საქართველოს ბანკი“ წარმოადგენს „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ საბოლოო მკონტროლებელ მხარეს. „საქართველოს ბანკი“ ამზადებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯაროდ.

	2014	2013
	ლარი	ლარი
ტრანზაქციების მოცულობა		
ტრანსაქციები საქართველოს ბანკთან:	-	
ვაჭრობა & მომსახურება	2,870,809	-
საკომისიო შემოსავალი	32,358	130
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,629	78,562
საკომისიო ხარჯი	452,177	89,985
იჯარის და სხვა საოპერაციო ხარჯი	70,270	66,664
საპროცენტო ხარჯი	51,360	-

	2014	2013
	ლარი	ლარი
ტრანზაქციების მოცულობა		
ტრანზაქციები ორგანიზაციებთან, რომლებსაც აკონტროლებს „საქართველოს ბანკი“:	-	
საკომისიო შემოსავალი	791,887	-
საიჯარო შემოსავალი	31,234	-
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	502,903	21,672
აქტივების რეალიზაცია	-	27,666
დაზღვევის ხარჯი	7,758	3,471

ზემოთ მოცემული ტრანზაქციები განხორციელდა იმავე პირობებით, როგორც არა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები.

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
დავალიანების სალდო			
სალდო „საქართველოს ბანკთან“:			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,631,023	2,981,167	7,234,825
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	-	910,121	-
დებიტორული დავალიანება	1,392	19,360	78,737
კრედიტორული დავალიანება	15,614	1,130,908	176,163
სალდო „საქართველოს ბანკის“ მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებთან:			
ფული და ფულის ექვივალენტები	511,395	-	-
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	2,137,559	-	-
დებიტორული დავალიანება	10,600	1,309	121,778
კრედიტორული დავალიანება	13,034	6,095	9,064

2014 წლის 5 თებერვალს, კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა „საქართველოს ბანკთან“ 20-წლიანი განახლებადი კრედიტის შესახებ 4,000,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელსაც ერიცხება წლიური 11%. კომპანიის ვალდებულება უზრუნველყოფილია „საქართველოს ბანკის“ ობლიგაციების გირავნობით 500,000 აშშ დოლარის საერთო ღირებულებით,

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სახელმწიფოს მიერ გამოშვებული სახაზინო თამასუქებით 63,000 აშშ დოლარის ღირებულებით და საბანკო დეპოზიტებით. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღნიშნულ განახლებად კრედიტზე დავალიანება არ აქვს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2014	2013
	ლარი	ლარი
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და დანამატები	112,234	79,847

24 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

2014 წლის სექტემბერში, კომპანიამ გააფორმა ერთ წლიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება „საქართველოს ბანკთან“, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე, აღნიშნული ხელშეკრულებით კომპანიამ იჯარით აიღო საოფისე ფართი სადაც კომპანია ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 4,514 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადი, რომელიც უნდა დაიფაროს ერთი წლის ვადაში, შეადგენდა 67,300 ლარს.

საოპერაციო იჯარის გადასახადი 2014 წელს ჩათვლილია ხარჯებში და შეადგენს 69,010 ლარს (2013: 62,037).

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მეიჯარე

2013 წლის ივლისში, კომპანიამ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება „საქართველოს ბანკთან“, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას და დაკავშირებულია მის საინვესტიციო ქონებასთან. ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის ხუთი წელი. ლიზინგის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 2,600 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

კომპანია მომავალში მიიღებს საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2014	2013
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	58,144	54,172
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთი წლის ვადაში	145,360	189,602

გარანტიები

2013 წელს 2016 წლის 30 ივნისამდე კომპანია თავდებში უდგას თავის შვილობილ კომპანიას საბანკო სესხისთვის, რომლის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 285,000 აშშ დოლარს.

25 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - ფასიანი ქაღალდების რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5,310,721	4,553,722	9,361,940
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	3,158,616	2,058,857	971,177
გაცემული სესხები	1,899,375	-	-
დებიტორული დავალიანება	460,468	633,387	998,863
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	372,562	216,606	215,516
სულ ფინანსური აქტივები	11,201,742	7,462,572	11,547,496
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	4,542,835	4,376,120	6,186,151
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,542,835	4,376,120	6,186,151

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად, აღნიშნული დონეები არის იმისთვის რომ განისაზღვროს რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს:		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	815,702	2,342,914	-
სულ	815,702	2,342,914	-
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	1,704,166	354,691	-
სულ	1,704,166	354,691	-
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	761,525	209,652	-
სულ	761,525	209,652	-

კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულება, რომელიც კლასიფიცირდება კატეგორიაში „სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის ასახვით“.

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2014	2013	2013
	ლარი	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	5,310,721	4,553,722	9,361,940
დებიტორული დავალიანება	447,456	540,663	913,966
გაცემული სესხები	1,899,375	-	-

როგორც შენიშვნა 19 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება და წინასწარი გადახდა, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურებული. გასაყიდად ხელმისაწვდომი ყველა ფინანსური აქტივი მოცემულია წილობრივი ინსტრუმენტის სახით და ამგვარად, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელმეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება. ამასთანავე, კომპანიას აქვს ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ლიკვიდურ ბაზარს და აკმაყოფილებენ მოთხოვნას ლიკვიდურ საშუალებებზე.

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდლები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	გაცემული სესხები	დებიტორული დავალიანება	AFS	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ლარი	818,388	200,995	-	223,129	266,105	1,508,617
ევრო	70,933	1	-	1,001	-	71,935
აშშ დოლარი	1,764,533	2,955,246	1,899,375	23,215	106,457	6,748,826
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	2,444,205	-	-	210,484	-	2,654,689
შვეიცარიული ფრანკი	193,638	-	-	-	-	193,638
სხვა	19,024	2,374	-	2,639	-	24,037
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,310,721	3,158,616	1,899,375	460,468	372,562	11,201,742

ფინანსური აქტივები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	დებიტორული დავალიანება	AFS	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ლარი	2,000,293	346,618	206,205	216,606	2,769,722
ევრო	23,884	-	1,509	-	25,393
აშშ დოლარი	560,624	1,708,532	17,171	-	2,286,327
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1,947,613	1,114	406,831	-	2,355,558
შვეიცარიული ფრანკი	21,076	-	-	-	21,076
სხვა	232	2,593	1,671	-	4,496
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,553,722	2,058,857	633,387	216,606	7,462,572

ფინანსური აქტივები 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	დებიტორული დავალიანება	AFS	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ლარი	3,019,778	206,950	234,960	215,516	3,677,204
ევრო	18,954	-	381,164	-	400,118
აშშ დოლარი	2,041,727	761,555	273,852	-	3,077,134
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	433,726	-	100,864	-	534,590
შვეიცარიული ფრანკი	3,833,362	-	-	-	3,833,362
სხვა	14,393	2,672	8,023	-	25,088
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,361,940	971,177	998,863	215,516	11,547,496

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2014 ლარი	31 დეკემბერი 2013 ლარი	1 იანვარი 2013 ლარი
ლარი	886,822	1,612,086	680,376
ევრო	87,852	23,270	398,590
აშშ დოლარი	724,582	368,035	777,920
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	2,650,627	2,351,398	482,144
შვეიცარიული ფრანკი	185,771	20,630	3,825,859
სხვა	7,181	701	21,262
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,542,835	4,376,120	6,186,151

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს / გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2014 წლისათვის 1,353 ლარით. ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს / გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2013 წლისათვის 180 ლარით.

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ გაზრდის / შეამცირებს დაბეგვრის შემდგომ მოგებას 503,012 ლარით (2013: 163,055 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მიმართ გაზრდის / შეამცირებს დაბეგვრის შემდგომ მოგებას 345 ლარით (2013: 353 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება შვეიცარიული ფრანკის მიმართ გაზრდის / შეამცირებს დაბეგვრის შემდგომ მოგებას 669 ლარით (2013: 38 ლარით).

26 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საინვესტიციო ბანკინგის და კვლევის მიმართულების ხელმძღვანელებმა შეწყვიტეს მუშაობა კომპანიაში და მათი მოვალეობებს ასრულებენ კორპორატიული კონსულტაციების და ინვესტიციებთან ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი პირები.

27 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

საეჭვო მოთხოვნების გაუფასურება

კონტრაგენტებისგან მომავალში მისაღები თანხების აღბათობის შეფასება არის იდენტიფიკატორი იმისა არის თუ არა მოთხოვნები გაუფასურებული. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მათი გამოვლენის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მოთხოვნისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პროცესის განხორციელება შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს გაუფასურების კოლექტიურად შეფასება. შედეგად, ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასებების ჩატარების მეთოდი საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდინოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშო თარიღისთვის.

აქტივების გაუფასურების შემოწმება

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი, გარდა ფინანსური აქტივებისა „სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალში ასახვით“, ფასდება გაუფასურებაზე თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გაუფასურებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია დაადგენს, რომ „ზარალის შემთხვევა“, რომელიც გავლენას ახდენს ამ ფინანსური აქტივებიდან მისაღებ მომავალ ფულად ნაკადებზე უკვე დამდგარია. შესაძლებელია ვერ მოხერხდეს ცალკეული გარემოების გამოვლენა, რომელმაც გამოიწვია გაუფასურება, და მეტიც, იმის განსაზღვრა თუ როდის წარმოიშვა ზარალის შემცველი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი შეფასებების გაკეთებასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღებ ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გასაყიდად ხელმისაწვდომად კლასიფიცირებულ წილობრივ ინვესტიციებთან დაკავშირებით, კომპანია გაუფასურებულად ცნობს, როდესაც ადგილი აქვს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან ხანგრძლივ ვარდნას. იმისთვის, რომ განისაზღვროს რას გულისხმობს „მნიშვნელოვანი“ ან „ხანგრძლივი“, საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს.

მატერიალური და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურების ანალიზი საჭიროებს აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ღირებულების გამოთვლას, რომელზეც მიბმულია აქტივი. აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის გამოთვლა ძირითადად დაფუძნებულია დისკონტირებული ფულის ნაკადის მოდელზე, რისთვისაც კომპანიამ უნდა გამოთვალოს მომავალში სავარაუდო ფულის ნაკადები ამ აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან და ასევე უნდა შეარჩიოს სათანადო დისკონტირების განაკვეთი, რათა გამოთვალოს ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება.

სამართლიანი ღირებულების განგარიშება

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის ზოგი აქტივი და ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისაწვდომი პირველი დონის მონაცემები (მაგ. არაკოტირებული ინვესტიციებისთვის), კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის

საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი, ოფციონის ფასის გამოთვლის მოდელები, რომლებიც მორგებულია ემიტენტის გარკვეულ გარემოებებზე). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. კვარტალურად, კომპანიის დირექტორთა საბჭოს საშემფასებლო ქვეკომიტეტი ახორციელებს აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზს. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.

გადავადებული საგადასახადების გაანგარიშება

გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება მოიცავს დაშვებათა მთელ სერიას. რაც შეეხება გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, მათი გამოყენება საბოლოოდ დამოკიდებულია მომავალში არსებულ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ იქნება დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც იქნება გამოყენებული გადავადებული საგადასახადო აქტივი და სავარაუდოა, რომ ორგანიზაცია მიიღებს საკმარის დასაბეგრ მოგებას მომავალ პერიოდებში, რათა მან ისარგებლოს საგადასახადო გადახდების შემცირებით. ეს გულისხმობს, რომ კომპანიამ უნდა გააკეთოს დაშვება მისი საერთო საგადასახადო დაგეგმვის ქმედებების ფარგლებში და პერიოდულად ხელახლა გადახედოს მათ, საგადასახადო რეგულაციებში შეცვლილი გარემოებების ასახვის მიზნით. ამასთანავე, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების გაანგარიშებისა ითვალისწინებს, თუ როგორ აპირებს ორგანიზაცია აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებას ან ვალდებულებების დაფარვას.